საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №25/04
2020 წლის 25 თებერვალი

ქ. თბილისი

„გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის №253/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„გადარიცხვის თანმხლები ინფორმაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის №253/04 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 30/11/2018, ს/კ: 220010040.18.011.016353) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. გარდამავალი დებულება

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციულ ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომლებიც გეგმავენ ამ დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მომხმარებლის ვერიფიკაცია განახორციელონ სხვა პროვაიდერებზე დაყრდნობით, შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურის გამართვა და მომხმარებლების ვერიფიკაცია უზრუნველყონ არაუგვიანეს 2020 წლის 1 ივნისისა.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულმა კომერციულმა ბანკმა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულმა საგადახდო მომსახურების პროვაიდერმა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ, არაუგვიანეს 2020 წლის 1 მარტისა, შესაბამისობაში მოიყვანონ თავიანთი საქმიანობა ამ დებულების მოთხოვნებთან, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე**